ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 571232223

N 162
10/04/2018

162-07-3-201804101445

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 4 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამუშაო შეხვედრა.

დანართი: სამუშაო შეხვედრის ოქმი № 1– 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ემზარ თევდორაძე

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის
სამუშაო შეხვედრის ოქმი N1

ლანჩხუთი

04.04.2018 წელი
15.00 საათი

სამუშაო შეხვედრის მიზანი: საკრებულოს მიერ, საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" მისაღები, ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე;**

კომისიის წევრები: გოდერძი ქურიძე, გიორგი გვარჯალაძე, ამირან ქანთარია, კახა თედორაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, კარლო კვიტაიშვილი, ბესიკ კუპრაძე;

საკრებულოს დეპუტატი: ვერიკო კვირკველია;

მოწვეული სტუმრები: ა.(ა).ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი **ნატა კობალავა,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი **როლანდ ლაშხია;** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ქეთევან ებრალიძე;** საკრებულოს მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) **ია მოქია,** საკრებულოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) **მაია კუპატაძე;** საკრებულოს მეოთხე რანგის, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხათუნა ვადაჭკორია.

კომისიის **თავმჯდომარემ ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ"
2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ"
3. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ"
4. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ"
5. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ"

ქეთევან ებრალიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტები საჭიროებს გადახედვას, რადგანაც მორგებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტისთვის როგორც ფინანსურად ასევე ტექნიკურად. პრობლემურია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სააღმზრდელო ცენტრებმა ჯერ პირობითი ავტოიზაცია უნდა გაიარონ და ეტაპობრივად 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს.

ა.(ა).ი.პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის" ხელმძღვანელმა **ნატა კობალავამ,** განაცხადა რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულია ყველა სააღმზრდელო ცენტრი გავიდეს დამოუკიდებლად, რაც სირთულეებთანაა დაკავშირებული.

აუცილებელია სამსახურის სტრუქტურა სწორად ჩამოყალიბდეს, ასევე პრობლემური იქნება შესყიდვების განხორციელება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა **როლანდ ლაშხიამ** განაცხადა, რომ შესყიდვების მოგვარება შესაძლებელია, მთავარია ინფრასტრუქტურა მოწესრიგდეს.

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ნებაა, რომ არსებობდეს სტანდარტული საბავშვო ბაღები, მოწესრიგებული იყოს ინფრასტრუქტურა, ჰიგიენა, კვება და ჰყავდეთ მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები, რომელთაც ექნებათ შესაბამისი სტატუსი. ამდენად შესაბამისი ფინანსური გათვლები უნდა გაკეთდეს, რომ ყველა პირობა დააკმაყოფილონ.

სამსახურის ხელმძღვანელმა **ნატა კობალავამ** განაცხადა, რომ საბავშვო ბაღებში ყველა აღმზრდელი პროფესიით არ არის სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი, ამიტომ მოხდება მათი გადამზადება, ჩაუტარდებათ ტესტირება, მაღალი შეფასების შემდგომ მიენიჭებათ აღმზრდელ-პედაგოგის კვალიფიკაცია. ხოლო 2024 წლიდან ახალმა კადრმა უნდა დააკმაყოფილოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა განაცხადეს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების პაკეტი, რათა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. წარმოდგენილი პროექტის შესახებ იმსჯელებს საკრებულოს კომისიები და ფრაქციები.

ამით სამუშაო ჯგუფმა შეხვედრა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**